თბილისის “დინამო” – მეოთხედფინალში

სოჭი. ცენტრალური სტადიონი. 6 აპრილი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 0:0. დამატებითი პენალტებით – 2:4.

“ზენიტი”: ოლეინიკი, ა. დერიომოვი, ი. დერიომოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, სპრეპეტოვი, ნიკოლაევი, მარკინი, ზინჩენკო (ვიუნი), გრებენოუკო (ივანოვი).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ებრალიძე, ქანთარია, მ. მაჩაიძე (წერეთელი), ქორიძე, გ. მაჩაიძე (გუცაევი), გ. ნოდია, ესებუა.

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

სსრ კავშირის თასის მერვედფინალის ამ წყვილში მასპინძლობა წილისყრით “ზენიტს” ხვდა და ლენინგრადელებმა სათამაშოდ სოჭის სტადიონი აირჩიეს. ამინდი საუკეთესო იდგა, გულშემატკივრები არც ერთ გუნდს არ აკლდა, მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებას არაფერი უშლიდა ხელს.

თამაში ასეც დაიწყო: სწრაფად, ტემპიანად, ორმხრივი იერიშებით. მე–4 წუთზე “ზენიტის” კარი ძელმა იხსნა ქორიძის დარტყმის შემდეგ, ცოტა ხანში კი მარკინმა ააცდინა მიზანს ბურთი ახლოდან.

მერე თამაშის ტემპმა საგრძნობლად იკლო და, თუ რამდენიმე ეპიზოდურ მომენტს არ მივიღებთ მხედველობაში, ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა. ასევე მიმდინარეობდა ბრძოლა მეორე ტაიმშიც, არც ერთი მხარე არ ცდილა სიმწვავე შეეტანა თამაშში, თუმცა ანგარიშის გახსნა შეეძლოთ ვიუნს და ქორიძეს.

საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. აქაც გამეორდა ანალოგიური ისტორია: თბილისელებმა დასაწყისში რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს, “ზენიტმა” ამას კონტრიერიშებით უპასუხა, მერე კი თამაშმა ისევ პიზიციური ხასიათი მიიღო. საბოლოოდ, 120 წუთს შედეგი არ მოუცია და საქმე დამატებითს პენალტებზე მიდგა.

აი, აქ კი თავი გამოიჩინა დინამოელთა მეკარემ დ. გოგიამ, რომელმაც, არსებითად, თავის გუნდს მეოთხედფინალში გასვლის შესაძლებლობა მისცა. მან შესანიშნავად მოიგერია პირველივე ორი პენალტი და ორივე “ზენიტის” მთავარი პენალტისტების – ივანოვისა და სადირინისგან (ივანოვი ლენინგრადელთა მწვრთნელმა მატჩის ბოლო წუთებზე გამოიყვანა მინდორზე გრებენოუკოს ნაცვლად, როცა ცხადი გახდა, რომ საჭირო გახდებოდა თამაშის ბედის გადაწყვეტა 11–მეტრიანებით, ხოლო სადირინი – საერთოდ გუნდის “შტატიანი” პენალტისტია და შარშან ყველა 11–მეტრიანი თავის გუნდში მან დაარტყა). მარკინისა და ნიკოლაევის მიერ გატანილმა ბურთებმა “ზენიტს” ვერაფერი უშველა, ვინაიდან ებრალიძემ, ქორიძემ, წერეთელმა და კანთელაძემ ზუსტად გამოიყენეს დარტყმები და დინამოელთა გამარჯვება რეალობად იქცა.

“ლელო”, 8 აპრილი 1975 წ.